

---

1920-30-იანი წლების ქართველი ემიგრანტების ლიტერატურული მემკვიდრეობა  
The Literary Heritage of Georgian Emigrants of the 1920s-30s

---

**Gia Arganashvili**

გია არგანაშვილი

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

**Comparative Analysis of Literary Texts Created by Georgian Emigrant Writers in  
the Homeland and Beyond Its Borders on the Example of Stephane Kasradze's**

**Works**

ქართველი ემიგრანტი მწერლების მიერ სამშობლოსა და მის საზღვრებს გარეთ შექმნილი  
ლიტერატურული ტექსტების შედარებითი ანალიზი სტეფანე კასრადის შემოქმედების  
მაგალითზე

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10937>

How does a writer's productivity change while staying in the homeland versus in emigration?

To clarify this, we have selected Stephane Kasradze's works, who worked very productively in his homeland in the 1920s, and after going into emigration, he created his first text immediately upon crossing the border.

The research is based on the analysis of the writer's known and some unknown texts. I believe this will interestingly present the process and results of the scientific research.

**Keywords:** Emigration, Stephane Kasradze, Literary Periods, Creative Freedom, National Identity

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრაცია, სტეფანე კასრადე, ლიტერატურული პერიოდები, შემოქმედებითი თავისუფლება, ნაციონალური იდენტობა

რა გავლენას ახდენს იმულებითი ემიგრაცია მწერლის შემოქმედებაზე, როგორ იცვლება მისი შრომითი ნაყოფიერება და შემოქმედებითი დონე ორ სხვადასხვა პერიოდს შორის – სამშობლოში და ემიგრაციაში ყოფნას დროს? ეს კითხვები სავსებით საფუძვლიანია გასული საუკუნის პირველი ნაკადის ქართველ ემიგრანტ შემოქმედთა მიმართ, თუმცა სათანადო ანალიზის გარეშე ძნელია მათზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია ძალზე მდიდარია ქართველ მწერალთა ემიგრანტული ცხოვრების გამოცდილებით.

თვალი გავადევნოთ ქართული ემიგრაციის ისტორიას.

უფრო შორეულ წარსულზე რომ არაფერი ვთქვათ, ალდორმინების პერიოდის ქართველი მწერლების დასახელებაც კმარა სამშობლოს გარეთ მათი მოღვაწეობის გასაცნობად, მათმა საუკეთესო წარმომადგენლებმა – თეიმურაზ პირველმა, არჩილმა, სულხან-საბა ორბელიანმა, დავით

გურამიშვილმა და ვახტანგ მეექვსემ – ხომ ცხოვრების დიდი ნაწილი ემიგრაციაში გაატარეს და არცერთ მათგანს საკუთარ სამშობლოში სიკვდილიც კი არ ღირსებია.

მათ შემოქმედებაში ემიგრანტული ყოფით გამოწვეულ დადებით ან უარყოფით სიღრმისეულ გავლენაზე საუბარიც შეიძლება, თუმცა ამას უფრო მეტი დაკვირვება სჭირდება, ხოლო ის, რაც ზედაპირზე დევს და თითოეული ამ ავტორის შემოქმედებაში იგრძნობა, ეს დროის უქონლობა, მოუცლელობაა, რადგან მათი ემიგრაციაში წასვლის მიზანი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას მოითხოვდა და სასურველი შედეგის მოლოდინით იყო გამმაფრებული, რაც შემოქმედებითი ფიქრისთვის ადგილს აღარ ტოვებდა.

ზოგადად, ემიგრაცია სრულიად ბუნებრივი მოვლენა და ჩვეულებრივი პროცესია ქვეყნისთვის, რადგან ის პოლიტიკური, ეკონომიკური ან პირადი მიზეზებით უცხო ქვეყანაში მცირე ხნით ან მუდმივად საცხოვრებლად გადასვლას გულისხმობს და ამ პროცესის ზედმეტი დრამატიზება ნამდვილად არ ღირს. თუმცა სრულიად სხვა მოვლენაა, როდესაც ეს იძულებით ხდება, როდესაც ამას ქვეყნის კრიზისული პროცესები განსაზღვრავს, აბორიგენი მოსახლეობის ერთ ნაწილს თავის ქვეყანაში აღარ დაედგომება ან დამპყრობელი ქვეყანა აიძულებს საკუთარ მიწა-წყალს გაშორდეს და სამშობლო დაივიწყოს.

მეცხრამეტე საუკუნეში კვლავაც რუსეთში გახიზნულ ქართულ ემიგრაციას ვხედავთ, თუმცა ამჯერად უკვე ძალით გარეკილი სამეფო ოჯახის მძიმე თავგადასავალს ვეცნობით, რომელთა დანაკლისი მძიმე ტვირთად დააწვა ჯერ ქართულ სახელმწიფოებრიობას, შემდეგ კი კულტურას და უშუალოდ ქართულ ლიტერატურას. ამ ტკივილმა ნიკოლოზ ბარათაშვილს სოფიოს პირით ეს სიტყვები ამოათქმევინა:

*„უწინამც დღე კი დამელევა მე!  
უცხოობაში რაა სიამე,  
სადაცა ვერ ვის იკარებს სული  
და არს უთვისო, დაობლებული?  
რა ხელ-ჰყრის პატევს ნაზი ბულბული,  
გალიაშია დატყვევებული?“*

(ბარათაშვილი, 1954, გვ. 77)

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულმა მწერლობამ საუკუნით ადრეც იგრძნო ემიგრაციის დამლუპველი შედეგები და ეს საკითხი თავისი პოეზიის ერთ-ერთ უპირველეს თემად აქცია. რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ გარკვეული ლირიკული სევდის მიზეზადაც კი იქცა, ამას მოჰყვა დუტუ მეგრელის (ხომტარია) პოეტური შედეგრი „მე პატარა ქართველი ვარ“, სამშობლოდან მოშორების ტკივილი აქაც ფიცის ფორმულასავით ისმის და საგულისხმოა, რომ ეს ლექსი იაკობ გოგებაშვილმა თავის „დედა ენაში“ შეიტანა, რითაც პატარა ქართველებისთვის სავალდებულო საკითხავად და ცხოვრების წესად აქცია ქვეყნისადმი ერთგულება.

თუმცა ლიტერატურა ამჯერადაც დამარცხდა რეალურ ცხოვრებასთან ჭიდილში და მეოცე საუკუნის ოციან წლებში საქართველოდან კვლავაც დაიძრა ემიგრაციის ახალი ტალღა, ამჯერად უკვე დასავლეთ ევროპაში, ბოლშევიკურ რეჟიმს გარიდებული კანონიერი ხელისუფლება და მათთან ერთად ქართული ინტელექტუალური არცთუ უმნიშვნელო ნაწილი.

ემიგრაციის ეს ნაკადი, როგორც დემოგრაფიულ-ინტელექტუალური დარტყმა, არანაკლებ მძიმედ გადაიტანა ქვეყანამ, ამ პროცესებზე დღემდე მრავალი საინტერესო ნაწარმოები შექმნილა ჩვენში, მათ შორის უნდა დავასახელოთ მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილი“, ბასილ მელიქიშვილის „მკერდმებოლილი მერცხალი“, ნიკო ლორთქიფანიძის „გული“, გალაკტიონ ტაბიძის „შინდისის ჭადრებს“, „გაგონდება თუ არა...“ და მრავალი სხვა.

თითოეულ ეს ნაწარმოები ადასტურებს, თუ როგორი მტკიცე კავშირი აერთებს ქართველს თავის სამშობლოსთან, როგორი მძიმე და სახიფათოა საკუთარი მიწა-წყლიდან მისი მოგლეჯის

ოპერაციაა, როგორ ვერ ხარობს უცხო ქვეყანაში ქართველი კაცის ბუნება, რომელსაც დატყვევებულ ბელურასავით გული უსკდება, ან უცხო ნიადაგზე გადანერგილ სათუთ მცენარისავით ხმება.

ემიგრანტული მწერლობა ძირითადად ერთ თაობაში სრულდება, შემდეგ ის ან საერთოდ ქრება ასპარეზიდან, ან ადგილობრივ ლიტერატურულ პროცესებს ერევა. ამდენად, ემიგრანტული ლიტერატურის ერთიან განგრძობად ტრადიციაზე საუბარი ზედმეტია, ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ რაღაც საერთო მახასიათებლებზე, რომლებიც ყველა ეპოქის ემიგრაციაში შეიმჩნევა და სამშობლოს მოწყვეტილი შემოქმედებითი პიროვნების ერთგვარ იდენტობას განსაზღვრავს.

პოლიტიკური ემიგრანტები თითქოს დროებით აფარებენ თავს უცხო ქვეყანას და სამშობლოში დაბრუნების იმედს არასოდეს კარგავენ, მაგრამ მათი იმედი და მოლოდინი ხშირად უპერსპექტივოა, რადგან სამშობლო მათ გარეშე ცხოვრებას ეჩვევა. ისინი კი არც სახლს იშენებენ, არც ენას სწავლობენ, არც გარემოს ეჩვევიან და მუდმივად ხიზნებად რჩებიან უცხო მიწაზე.

ხოლო ისინი, ვინ მშვიდობიანობის დროს, ეკონომიკური ან სხვა პირადი მიზნებით მიდიან უცხოეთში, მეტ-ნაკლებად თავისუფალნი არიან თავიანთ გადაწყვეტილებაში, ამიტომ ისინი სრულად ადაპტირდებიან სოციუმში, უმეტეს შემთხვევაში, კარგავენ საკუთარ ენას და თავიანთი შემოქმედებითაც სხვა ერის კულტურას ამდიდრებენ.

შემოქმედება კი ერთი ყველაზე ძლიერი საშუალებაა ემიგრაციაში საკუთარი პიროვნული და ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად, რადგან აქ ისინიც კი იწყებენ წერას, რომელთაც თავიანთ სამშობლოში ერთი სიტყვაც არ დაუწერიათ.

ამ ნიშნით 1920-30-იან წლებში ევროპულ ქვეყნებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ავტორები პირობითად შეგვიძლია ორ ჯგუფად გავყოთ, ერთნი, რომელთაც ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს დაიწყეს ლიტერატურული მოღვაწეობა, მათი მხატვრული ტექსტები ემიგრაციაში წასვლამდე იბეჭდებოდა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში და ემიგრაციაშიც გააგრძელეს მუშაობა. ამ ავტორთა შემოქმედებაზე უფრო აშკარად იგრძნობა ქართული კლასიკური ლიტერატურის გავლენა, რადგან ისინი ტრადიციას ემორჩილებიან. ხოლო მეორენი, რომელთაც უცხოეთში ყოფნის დროს მოჰკიდეს კალამს ხელი (საქართველოში მათი შემოქმედებითი მუშაობის კვალი არ იძებნება) და მათ მხატვრულ ტექსტებში ლიტერატურული გავლენების კვლევა უფრო მეტ დაკვირებას და შესწავლას მოითხოვს.

პოლიტიკური ემიგრაცია მწერალს შემოქმედებით თავისუფლებას ჰპირდება და ამას შესაბამისი პოზიტიური შედეგიც უნდა მოჰყვეს, რაც უპირველესად შრომის ნაყოფიერების ზრდასა და შემოქმედებით აღმასვლაში გამოიხატება. თუმცა ყველაფერი ასე მარტივად არ არის, რადგან შემოქმედება მრავალწახნაგოვანი საქმიანობაა და წარმატებისთვის რამდენიმე პირობის თანხვედრაა აუცილებელი.

ამისთვის უნდა განვიხილოთ შემოქმედთა ემიგრანტული ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთი მხრივ, პოლიტიკური და მისგან გამომდინარე შემოქმედებითი თავისუფლება, ხოლო, მეორე მხრივ, მძიმე ნოსტალგია და იდენტობის ღრმა კრიზისი, შინაგანი გაურკვევლობა, უცნობ გარემოში გაუცხოების მოტივი.

ამის საანალიზოდ შეგნებულად ავირჩიეთ სტეფანე კასრადის შემოქმედება, რადგან ეს მწერალი სამშობლოშიც ძალზე ნაყოფიერ შემოქმედდა ითვლებოდა, გასული საუკუნის ოციანი წლების ბოლოს კრიტიკა მის სახელს ყველაზე უფრო საიმედო ახალგაზრდა შემოქმედთა გვერდით ასახელებდა, ხოლო ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მას შემოქმედებითი პაუზა თითქმის არ ჰქონია, პირველი ემიგრანტული ტექსტი კი საზღვარზე გადასვლისთანავე შექმნა .

მხატვრული პროზის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი სტეფანე კასრადე სამშობლოში ყოფნის დროს XX საუკუნის 20-იანი წლების იმედისმომცემ და ნიჭიერ პროზაიკოსად ითვლებოდა. მისმა სახელმა პირველად 1926 წელს თბილისში გამომავალ ჟურნალ „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე გაიელვა, სადაც დაიბეჭდა მისი ავანგარდისტული პროზის მშვენიერი ნიმუში „გვართ-სამხილავი“. აღსანიშნავია, რომ სტეფანე კასრადეს „მემარცხენე ხედვის“ პროზაიკოსად ძირითადად მემარცხენე მიმართულების მწერლები მიიჩნევდნენ.

„სტეფანე კასრადის მიმართ ბენო გორდეზიანი იყო სხვებზე უფრო მიუკერძოებელი, რაშიც მას ყოფილ თანამოაზრეთაგან (იგულისხმება ქართველ ფუტურისტთა ჯგუფი) განდგომამაც შეუწყო ხელი. აი, მისი სიტყვები: „სტეფანე კასრადე მემარცხენედ არ გამოდგება გამოქვეყნებული მასალების მიხედვით. თუმცა მას სიახლის გრძნობა აშკარად აქვს. მაგრამ ეს სიახლე სიმბოლისტური თვისებისაა...“ (კუპრეიშვილი, 1989, გვ. 7).

1926-28 წლებში თბილისში გამომავალ ჟურნალებში – „ქართული მწერლობა“, „მნათობი“, „მემარცხენეობა“ – გამოქვეყნდა ახალგაზრდა მწერლის, სტეფანე კასრადის კიდევ რამდენიმე მოთხრობა („ზღვა“, „უდაბურობა“, „მეჯინიბე“, „მებადურთუბანი“, „ქალაქის კუჭი“), რომელთაც მაშინდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკის მოწონება ხვდა წილად.

ახალგაზრდა მწერალი სამშობლოდან წასვლის გადაწყვეტილებას მაშინ იღებს, როდესაც დარწმუნდება, რომ ევროპიდან დახმარების იმედი აღარ უნდა იყოს, ხოლო ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ უკვე მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოში და ლიტერატურულ საქმიანობაზე მკაცრი ცენზურა დააწესა.

სტეფანე კასრადე თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა და პირად ტრაგედიად აღიქვამდა ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციას, თუმცა ემიგრაციაში მოგვიანებით, 1928 წლის ბოლოს თუ 1929 წლის დასაწყისში, წავიდა. მან ფარულად გადალახა საზღვარი და აჭარიდან თურქეთში გადავიდა. ამის შემდეგ ის საფრანგეთში ჩავიდა და ქალაქ სოშოში დამკვიდრდა, სადაც უკვე არსებობდა ქართული დიასპორა. ემიგრაციაში მან გააგრძელა შემოქმედებითი მუშაობა – ჟურნალ „კავკასიონში“ დაიწყო თანამშრომლობა, 1929 წლის ჟურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდა ეტიუდი „საზღვარზე გადასვლა“, რომელშიც საკმაოდ მძაფრად არის აღწერილი მისი ემიგრაციაში წასვლა.

მწერალი საფრანგეთში აგრძელებს წერას, თუმცა მისი თემატიკა აქ საკმაოდ შეზღუდულია და მხოლოდ უახლესი წარსულის ქართულ სინამდვილეს დასტრიალებს. ამ პერიოდში დაიწერა მისი ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ბაჯადო“ და „მწუხარების აღფრთოვანება“, აგრეთვე, რომანი „თარი-არაღე“, რომლის პირველი ნაწილიც 1939 წელს პარიზში გამოიცა წიგნად. 1944 წელს, მწერლის სიკვდილის შემდეგ, რომანის ორივე ნაწილი დაიბეჭდა ბერლინში გამომავალ ჟურნალში „ქართველი ერი“.

ერთი უმთავრესი ტექსტი მისი შემოქმედებისა რომანი „თარი არაღე“ მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოებია. ის აგებულია საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვაზე, 1921 წლის თებერვლის მოვლენებზე, ქართული ჯარის უკანდახევაზე. ასევე 1924 წლის აჯანყებაზე, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ჩეკას რეპრესიულ აპარატზე და საუკუნის პირველ ემიგრაციულ ტალღაზე, როდესაც საქართველოს მთავრობის გზას მასობრივად დაადგა ახალგაზრდობა, რომელიც თავიდანვე „დიდი პატივისმცემელი იყო ევროპისა“.

„სტეფანე კასრადეს დაუდგენია სემანტიკა სიტყვისა „არაღე“, რომელიც, მისი რეცეფციით, წინა აზიის უძველესი ღმერთის სახელია (ასურულ-ბაბილონური, ხეთური თუ ბერძნული პანთეონიდან) და ქვესკნელს, ან ქვესკნელის სულს შეესატყვისება. რომანის დასაწყისში ასევე განმარტებულია სიტყვა „იერი“, რომელიც, კასრადის ცნობით, ბაბილონურად „უფალთაუფალს“ ნიშნავს. „თარი“ სვანურად მთავარს აღნიშნავსო, – ვკითხულობთ რომანში. ასე რომ, ავტორი მკითხველს თხზულების კონცეფციის გააზრებაში თავად ეხმარება (ამ განმარტებათა მიხედვით, „თარი-არაღე“ უნდა გავიგოთ, როგორც „ქვესკნელის მთავარი სული“) (კვატაია, 2021, გვ. 102).

ამ რომანის სათაურის პოეტური სემანტიკა 1990-იან წლებში პირველად მანანა კვაჭანტირაძემ გახსნა. მისი განმარტებით, „თარი-არაღე“ აქ ორგვარი ჰიპოსტასით წარმოგვიდგება: როგორც ქვესკნელის უფალთ-უფალი, მთავარი ღვთაება, რომელიც უკავშირდება ბოროტი ძალის მიერ ჩაყლაპული მზის გამოხსნას და როგორც „ქართული სიმღერების გავრცელებულ მისამღერში დამოწმებული „ეროვნული სულის ატავისტური ბგერა“. ეს კი რომანს მითოლოგიურ პლანს უქმნის და „თარი-არაღეს“ კეთილგანწყობაში ნათელი მომავლის ხატს ხედავს.

სტეფანე კასრადის პიროვნებას და მის შემოქმედებას ანალიტიკური წერილები მიუძღვნეს გურამ შარაძემ, მანანა კვაჭანტირაძემ, ნონა კუპრეიშვილმა და მანანა კვატაიამ. მისი მხატვრული ტექსტების ერთ წიგნად გამოცემა კი მომავლის საქმეა.

ემიგრაციაში მწერლის შემოქმედებითი თავისუფლება, ალბათ, იმაშიც გამოიხატა, რომ სტეფანე კასრადემ ერთ-ერთმა პირველმა გაზედა ქართულ ლიტერატურაში და თავის რომანში მხატვრულად აესახა ეკლესიების ნგრევის პროცესი, გუმბათიდან ჯვრის ჩამოგდების ფაქტი. ამგვარი რამ იმ წლებში მასობრივად ხდებოდა მთელი საქართველოს მასშტაბით:

„ზეინკლები დიდხანს ეწვალენ გუმბათზე, ჯვარი არც ირხეოდა და გარედ მდგომთ იმედი მიეცათ, იქნებ ვერაფერი ავნონო. მაგრამ აი, გუმბათზე კიდეც ორი ახალი კაცი გამოჩნდა; ისინი საჩქაროდ, გუმბათზე თოკებით მიეკრენ და დაიწყეს ღონივრად ცემა ჩაქუჩისა. ყველამ იგრძნო, რომ ჯვარი ვერ გაუძლებდა და გალავანში მდგომთ ასტეხეს „ვაშას“ ძახილი, მალე ჯვარი შეარყიეს და ზეინკლებმა ხალხს ჩმოსძახეს. რათა ყოფილიყვნენ ფრთხილად.

– ამხანაგებო, ფრთხილად, ფრთხილად – იძახდა ხალხი

ლითონის ჯვარი მოტყდა და გრიალით დაეშვა თუნუქის სახურავზე, ხილხმა ასტეხა ტაშის ცემა, რომელიც დიდხანს არ შეწყვეტილა.

ამ ხნის განმავლობაში, გუმბათზე დაადგეს წითელი დროშა და მოლაპარაკე ქალმაც რომელსაც ამას წინად სიტყვა წაერთვა, მოასწრო მაგიდაზე შემხტარიყო და ხალხისათვის დაეყვირა:

– გახსოვდე, რომ რელიგია ხალხის ოპიუმია!

ქალს მამაკაცური სახე ჰქონდა; სთქვა თუ არა ეს, იგი მაგიდიდან ჩამოვიდა“ (კასრადე, 1990, გვ. 83).

რაც შეეხება სტეფანე კასრადის სამწერლო სტილს და ერთგვარ შემოქმედებით სახეცვლილებას სამშობლოდან ემიგრაციაში გადასვლის შემდეგ, ნონა კუპრეიშვილმა თავის სტატიაში ის შეაფასა, როგორც მწერლის გზა „ავანგარდშიმიდან მხატვრულ-დოკუმენტურ პროზამდე“.

ხოლო მწერლის ერთ-ერთი უკანასკნელი მოთხრობის, „ბაჯადოს“ შესახებ, რომელიც სტეფანე კასრადეს 1941 წელს ქ. სოშიში დაუსრულებია, მკვლევარი აღნიშნავს:

„სტეფანე კასრადის ამ უკანასკნელი მოთხრობის მხატვრული სტილი ძლიერ შორსაა 1926 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ გამოქვეყნებული მოთხრობის „გვართ-სამხილავის“ ავანგარდისტული პროზის ელვარე სტილისა და უჩვეულო სტრუქტურისგან. სწორედ ამ მოთხრობით მიიპყრო სტეფანე კასრადემ მაშინდელი ლიტერატურული კრიტიკის ყურადღება“ (კუპრეიშვილი, 1989, გვ. 7).

ამ მოთხრობაში და სტეფანე კასრადის სხვა ემიგრანტულ მხატვრულ ტექსტებში მართლაც ძალზე აშკარად ჩანს მწერლის მსოფლმხედველურ-სტილური ცვლილება, თუმცა ნაწარმოებში უცვლელი რჩება მითოლოგიური პლანი. ამდენად, მომავალ კვლევაში ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩანია სტეფანე კასრადის შემოქმედებაზე დაყრდნობით მოდერნიზმის უცვლელ და ცვალებად ელემენტებზე ვისაუბროთ.

ამასთანავე, ემიგრაციაში სტეფანე კასრადის შემოქმედებაში იმატებს საკუთარი წარსული-სადმი ინტერესი, ჭარბობს პირადი განცდები, მოვლენების თვითმხილველისა და მონაწილის შთაბეჭდილებები, მწერლის შემოქმედებაში აქტიურდება ავტობიოგრაფიული თემატიკა და შესაბამისად, მხატვრულ-დოკუმენტური სტილი.

მართალია, ზოგადად, მწერლები ემიგრაციაში პოულობენ თავისუფლებას, თუმცა მათში იმატებს სამშობლოსადმი ნოსტალგია, სევდა-ნადევლი მშობლიური გარემოს ვერნახვის გამო, ეს გრძნობა რამდენიმე ასპექტშია გამოხატული. მათ შორის ენაში, რომელშიც ყველაზე მეტად იხატება ერის ტრაგიკული ბედისწერა. ამიტომ შემოქმედი კვლავ უბრუნდება და ერთგულობს სიტყვის ტრადიციულ ფორმებს, მშობლიური ენისადმი იმატებს გარკვეული კრძალვა და ფაქიზი დამოკი-

დებულება, მისთვის თანდათან მიუღებელი ხდება სიტყვათქმნადობისაკენ სწრაფვა, რადგან მწერალი ახლა თითოეულ სიტყვას უფროთხილდება და თითქოს ეფერება კიდეც...

როდესაც ლიტერატურულ ტრადიციაზე ვსაუბრობთ და ნაციონალური მწერლობის ერთიან მაგისტრალურ ხაზს მივყვებით, მაშინ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების მიმართ ერთნაირად ხელისშემშლელია ლიტერატურული მიმდინარეობის დაკონკრეტება, რადგან მეოცე საუკუნის მემარცხენე ან ავანგარდისტ შემოქმედში შეიძლება აღმოვაჩინოთ კრიტიკული რეალიზმის ან რომანტიზმის ნიშნები და ასევე პირიქითაც.

ჩვენს მოსაზრებებში, რომლებიც ქართველი ემიგრანტი მწერლების მიერ სამშობლოსა და მის საზღვრებს გარეთ შექმნილი ლიტერატურული ტექსტების შედარებითი ანალიზს გულისხმობდა სტეფანე კასრადის შემოქმედების მაგალითზე, რამდენიმე ძირითადი ელემენტი გამოიკვეთა. შემდგომი კვლევა მოგვცემს იმის საბუთს, თუ რამდენად სარწმუნოა ჩვენი ეს ვარაუდი...

სტეფანე კასრადე მეორე მსოფლიო ომის დროს, თავის მეგობარ დათიკო ლუდუმიძესთან ერთად, იძულებული გახდა საკუთარ თავზე აეღო ქართველი ახალგაზრდების მიერ ჩადენილი მკვლელობა ეროვნებით რუსი ოფიცრისა, რითაც დაღუპვისგან იხსნეს უამრავი ადამიანი. სტეფანე კასრადე და დავით ლუდუმიძე სასჯელის უმაღლესი ზომით, დახვრეტით დასაჯეს. ეს ინფორმაცია მკითხველს ვიქტორ ნოზაძემ მიაწოდა, როდესაც 1964 წელს განახლებულ ჟურნალ „კავკასიონში“ გამოაქვეყნა 1941 წლით დათარიღებული სტეფანე კასრადის უკანასკნელი მოთხრობა „ბაჯადო“.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარათაშვილი, ნ. (1954) თხზულებანი, თბილისი, „საბჭოთა მწერლობა“  
კასრადე, ს. (1990) თარი-არალე, ჟურნალი „მნათობი“, 1990, № 7  
კვატაია, (2021) რომანი – აპოკალიფსური დროის მეტაფორა, „ლიტერატურული ძიებანი“ 2021, 41,  
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/301862>  
კუპრეიშვილი, ნ. (1989), სტეფანე კასრადე, „ლიტერატურული საქართველო“, 22.  
[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/494884/1/Literaturuli\\_Saqartvelo\\_1989\\_N22.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/494884/1/Literaturuli_Saqartvelo_1989_N22.pdf)

#### References:

- Baratashvili, N. (1954). Tkhzulebani, [Writings]. Tbilisi. „soviet' writing“.  
K'asradze, S. (1990). Tari-arale, [Tar-Aral]. Jurnal "Mnatobi", 7.  
K'up'reishvili, N. (1989). St'epane K'asradze. [Stepane Kasradze]. "Lit'erat'urli Sakartvelo". 22.  
[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/494884/1/Literaturuli\\_Saqartvelo\\_1989\\_N22.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/494884/1/Literaturuli_Saqartvelo_1989_N22.pdf)  
K'vat'aia, M. (2021). Romani- ap'ok'alipsuri drois met'apora, [The novel is a metaphor for an apocalyptic time], Lit'erat'uruli Dziejani, XLI, <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/301862>